**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მარკეტინგი და ცვალებადი საგარეო ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; მარკეტინგი და საზოგადოება; მარკეტინგული გარემო; გლობალური ბაზარი; სამომხმარებლო ბაზრები და საწარმოთა ბაზრები. მყიდველობითი ქცევა; მარკეტინგული ინფორმაცია და მარკეტინგული კვლევა; ბაზრის სეგმენტაცია და მიზნობრივი ბაზრის არჩევა; საქონელი, მარკა, შეფუთვა და მომსახურება; მომსახურების მარკეტინგი; ფასწარმოქმნის მეთოდები; მასობრივი კომუნიკაციები; რეკლამა; გაჩაღების სტიმულირება და კავშირები საზოგადოებასთან. განაწილების არხები და გამალებით მართვა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** NEB0820 წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია.

#### **QAB0050. მათემატიკური მეთოდები და მოდელები მართვაში (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** გადაწყვეტილებების მიღების თეორიის ელემენტები. ინდივიდის გადაწყვეტილებები. კოლექტიური გადაწყვეტილებები.

დეტერმინირებული მეთოდები მართვის ამოცანებში. ქსელური მოდელები. ბალანსის განტოლება, რთული პროცენტები. იერარქიები და პრიორიტეტები. პროგნოზირების მეთოდები. სტოქასტიკური მეთოდები მართვის ამოცანებში. წერტილოვანი და ინტერვალური შეფასებები. კორელაცია და რეგრესია. სტატისტიკური ჰიპოტეზების შემოწმება.

გადაწყვეტილებების მიღება თამაშთა თეორიის საფუძველზე. მატრიცული თამაშები. ბიმატრიცული თამაშები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** Mathcad, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

#### **QMB0331. პროექტის მენეჯმენტი (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პროექტის განსაზღვრა. პროექტის სასიცოცხლო ციკლი და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი. პროექტის მონაწილენი.

პროექტის შემუშავება. საწყისი სიტუაციის შეფასება და პრობლემების იდენტიფიკაცია. მიზნები და ამოცანები. მათი რეალიზაციის მექანიზმის შემუშავება. ბიუჯეტის შემუშავება. დაფინანსების წყაროები.

პროექტის დაგეგმვა. რისკების მართვა. სამუშაოების იერარქიული სტრუქტურის შემუშავება (WBS). პროექტის შესრულების განრიგის შედგენა. პროექტის ბალანსის უზრუნველყოფა.

პროექტის მართვა. პროექტის შემსრულებელთა გუნდის ფორმირება და განვითარება. პერსონალის მოტივაცია და სტიმულირება. პროექტის ხელმძღვანელი. ლიდერობა. გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია. კონფლიქტური სიტუაციების მართვა. კომუნიკაციები. პროექტის კონტროლი და მონიტორინგი. პროგრამის გაზომვა და შედეგების ანალიზი. ანგარიშის შედგენა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** კომპიუტინგი, მიკრო და მაკროეკონომიკა

### **QBB0391. მეწარმეობა და პრობლემების გადაწყვეტა. (2,5 კრედიტი).**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სტრატეგიული დაგეგმარება. SWOT ანალიზი მისი გამოყენების წესი ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის განსაზღვრისას. ბიზნეს იდეა და მისი შეფასების კრიტერიუმები. ბიზნეს გეგმა. ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება, ბიზნესის კონცეფცია, სასტარტო კაპიტალი. პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები, შემოსავლისა და გასავლის ანგარიშის განსაზღვრა, თვითღირებულების კალკულიაცია, დანახარჯებისა და მოგების ზრდის დაგეგმვა. ფულის მასის მოძრაობის დაგეგმვა. პერსონალის მართვა, ადამიანები და პროდიუქტიულობა., პერსონალის მოტივაცია და პროდუქტიულობა. პროდუქციის, ადგილმდებარეობის ფასის მარკეტინგი. ნედლეულის და მასალების კონტროლი. მთავარი საბუღალტრო წიგნი, გადასახადების ადმინისტრირება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ბიზნესკანონმდებლობის საფუძვლები

### **5SNB0181. საქართველოს ისტორია (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ადამიანთა საზოგადოების საქართველოს მიწაწყალზე უხსოვარ დროიდან ჩამოყალიბების პროცესი; პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბება საქართველოს ტერიტორიაზე. ანტიკური ხანის ცივილიზაცია საქართველოში. ფეოდალური ხანა. ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა. მე-19 საუკუნეში რუსული ძალის ექსპანსია. ეროვნულ ძალთა აღორძინების ნიადაგზე ქართველი ხალხის სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის პრობლემა. რუსეთის სამი რევოლუციის ადგილი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიულ პროცესში. საქართველოს მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისა და მისი კვლავ დაკარგვის მიზეზთა არსი. საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის პოზიტიური და ნეგატიური მოვლენები. ეროვნული სახელმწიფოებრიობის კვლავ აღდგენის პერიოდის პრობლემა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** არა აქვს

### **SFB0291. ფილოსოფია (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ფილოსოფია, როგორც კულტურის ფენომენი. ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია, ანტიკური ფილოსოფია და მისი პერიოდები, სოფისტები-პროტაგორა და გორგია. სოკრატეს ფილოსოფია, პლატონის მოძღვრება, არისტოტელეს ფილოსოფია. ელინისტური პერიოდი ანტიკურ ფილოსოფიაში, ნეოპლატონიზმი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის პერიოდიზაცია. ფილოსოფიური ცენტრები ფეოდალურ საქართველოში. პეტრე იბერი. ქართული სქოლასტიკა, ქართული რენესანსი, ლოკი, ჰიუმი, სპინოზა, ლაიბნიცი, გერმანული კლასიკური ფილოსოფია - კანტი. პრაგმატიზმი.  
**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** არ აქვს

#### **PMB0751. საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემა თანამედროვე პირობებში. საგანგებო სიტუაციების დახასიათება. თანამედროვე საბრძოლო საშუალებები. რადიაციული და ქიმიური დაზვერვის ხელსაწყოები. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამაშველო და საავარიო ფორმირებებთან ტაქტიკურ-სპეციალური მეცადინეობებისა და სწავლების ჩატარების ორგანიზაცია და მეთოდოლოგია. მორალურ-ფსიქოლოგიური და პატრიოტული მომზადება

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** უცხო ენა; ქიმია; ფიზიკა; მათემატიკა; ინტერნეტი.

#### **SWB0901. პოლიტოლოგია (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერების კვლევის ობიექტი, საგანი, მეთოდოლოგიური საფუძვლები. პოლიტიკური აზრის წარმოშობის და განვითარების ძირითადი ეტაპები. შუა საუკუნეების პოლიტიკური შეხედულებანი. პოლიტიკური ხელისუფლების თეორია. სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი. ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია. პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური ლიდერობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** არ აქვს

#### **SFB0901. ეთიკა (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ეთიკის საგანი, ეთიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან, ზნეობა და ზნე, შოპენჰაუერის თანატანჯვის თეორია, სიკეთე, როგორც თვითმიზანი და ზნეობრივი ღირებულებების ცნება, აზროვნების გავლენა გრძნობებზე, კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება, ქცევის ზნეობრივი და სამართლებრივი შეფასება, სიკეთის და მშვენიერებების ერთიანობა. ბედნიერების ინტენსიობის ცნება, ზნეობა და ხელოვნება, ჰუმანიზმის გამოვლენის ფორმები და გულწრფელობის კრიტერიუმები, სიყვარულისა და სიძულვილის ცნებათა ურთიერთობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** არა აქვს

### **პროგრამის სავალდებულო კურსები**

#### **QAB0450. გამოყენებითი მექანიკა 1. (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მასალათა გამძლეობის საგანი. რეალური ობიექტი და საანგარიშო მოდელი. კვეთის მეთოდი. გარე და შიგნით ძალები, ძაბვები. სტატიკურად რკვევადი სისტემები. გადაადგილებები და დეფორმაციები. ჰუკის კანონი. კონსტრუქციების გაანგარიშების ზოგადი პრინციპები. მარაგის კოეფიციენტი. სწორი ძელების ცენტრალური გაჭიმვა-კუმშვა.

ნორმალური ძალა და ნორმალური დაზვა, ღუნვა. შიგა ძალოვანი ფაქტორები. დაზვები სუფთა ღუნვისას. წარმოდგენა დადლილობით სიმტკიცეზე. დადლილობის მახასიათებლები სიმეტრიული და პულსირებული ციკლებისათვის. მანქანების და მექანიზმების ძირითადი განმარტებები. რგოლი, კინემატიკური წყვილები, კინემატიკური ჯაჭვი. მექანიზმების რგოლების მდებარეობის განსაზღვრა ანალიზური და გრაფიკული მეთოდებით. მრუდმხარას არსებობის პირობა. მუშტა მექანიზმები. დანიშნულება და ძირითადი სახეები. პარამეტრები. ჰუკის უნივერსალური სახსარი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:**

მექანიკის საწყისები;\* წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია; მათემატიკური ანალიზი;

**QAB0460. გამოყენებითი მექანიკა 2. (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მანქანათა ნაწილების საგანი. გაანგარიშების კრიტერიუმები და მოთხოვნები. შეერთებები. შედუღებით შეერთება, ნაკერის ტიპები, გაანგარიშება. ხრახნკუთხვილებით შეერთება. ხრახნების ძირითადი პარამეტრები, კლასიფიკაცია, მოქმედი ძალები. მოჭერის მომენტი ხრახნებში. თვითდამუხრუჭების პირობა. მქკ. ხრახნული შეერთების ელემენტების სიმტკიცეზე გაანგარიშება. ხრახნული შეერთების გაანგარიშების მაგალითები. გარანტირებული ჭეკით შეერთება. სიმტკიცეზე გაანგარიშება. სოლური, სოგმანური, კბილური (ღარობული) შეერთებები. გაანგარიშება. მექანიკური გადაცემების კლასიფიკაცია. ფრიქციული გადაცემები. კონსტრუქციები, კინემატიკა, მოქმედი ძალები. საფეხურებიანი გადაცემა და ფრიქციული ვარიატორები. გეომეტრიული სრიალის მოვლენა შუბლა ვარიატორში. შუბლა ვარიატორის გაანგარიშება. ღვედური გადაცემები. კლასიფიკაცია, კინემატიკა. ღვედური გადაცემის თეორია (ეილერის განტოლება). ცენტრიდანული ძალით გამოწვეული დაჭიმულობა. საფეხურებიანი ღვედური გადაცემა და ღვედური ვარიატორი. გადაცემის. კბილანა გადაცემების კლასიფიკაცია. კბილანა მოდების ძირითადი პარამეტრები. გადახურვის კოეფიციენტი. სწორკბილებიანი ცილინდრული კბილანა გადაცემაში მოქმედი ძალები. ცილინდრული ირიბკბილა და კონუსური კბილანა გადაცემები. მოქმედი ძალები. ექვივალენტური და ბიექვივალენტური კბილანები. კბილანა რედუქტორები. პლანეტარული და ჭიახრახნული გადაცემები, მ.ქ.კ., მოქმედი ძალები, გადაცემები. კინემატიკა, მოქმედი ძალები და გაანგარიშების თავისებურება. ჯაჭვური გადაცემა. მოქმედი ძალები. გაანგარიშება. ღერძები და ლილვები. ლილვის გაანგარიშება სიმტკიცეზე და სიხისტეზე. საკისრების კლასიფიკაცია. სრიალის ხახუნის საკისრები, სველი ხახუნით მომუშავე საკისრების გაანგარიშება. გორვის საკისრების კლასიფიკაცია. დატვირთვის განაწილება გორვის ტანებს შორის. კონტაქტური დაზვები გორვის საკისრებში. საკისრის კინემატიკა. გორვის საკისრების გაანგარიშება სტატიკურ და დინამიკურ ტვირთამწეობაზე. საკისრების შერჩევა სტანდარტით. ქუროები, კლასიფიკაცია, შერჩევა. ზამბარები, ფუნქციური დანიშნულება და კლასიფიკაცია. გაჭიმვა-კუმშვის და გრეხის ზამბარები. ცილინდრული ზამბარების გაანგარიშება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** გამოყენებითი მექანიკა 1.

**QEB1040. ელექტროტექნიკა (5 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ელექტროტექნიკის ფიზიკური საფუძვლები. ველის ელექტრომაგნიტური განტოლება. ელექტრული წრედების კანონები. სინუსოიდალური და სამფაზა წრედები. გარდამავალი პროცესები წრფივ წრედებში. არაწრფივი ელექტრული და მაგნიტური წრედები. წრედები განაწილებული პარამეტრებით. ელექტრომაგნიტური ველის თეორია. ელექტროსტატიკური ველი. სტაციონარული ელექტრული ველი; მაგნიტური ველი, ელექტრული და მაგნიტური ველების გამოთვლის ანალიტიკური და რიცხვითი მეთოდები. ცვლადი ელექტრო მაგნიტური ველი.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** ფიზიკა 2

**QEB0970. ელექტრონიკის საფუძვლები (5 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ნახევარგამტარული ხელსაწყოები. ცვლადი და მუდმივი დენის გამამძლიერებლები, ოპერატიული გამამძლიერებლები, კომპორატორები, ლოგიკური ელემენტები, კომბინაციური ლიგიკური სქემები, მთვლელები, რეგისტრები, დამახსოვრების მოწყობილობები, ა.ც.გ. და ც.ა.გ. გარდაქმელები, კოდების გარდამქმნელები, ინდიკატორები, ძალოვანი ელექტრონიკის ელემენტები.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** NMB0420 მათემატიკური ანალიზი-1

NFB0410 ფიზიკა -2 (ელექტრომაგნეტიზმი და ოპტიკა); NIB0400 კომპიუტერული უნარ-ჩვევები.

**QCB0440. ჰიდრო და აერომექანიკა (5 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სითხეების სტატიკა და დინამიკა. ჰიდროსტატიკა (ჰიდროსტატიკის წნევის ძალა, ჰიდროსტატიკური ძალის განსაზღვრა, ტანების ცურვა სითხეში). ჰიდროდინამიკა (სითხის მოძრაობის რეჟიმი, ენერჯის დანაკარგის სახეები, მისი განმსაზღვრელი მეთოდები, მილსადენების ჰიდრაულიკური ანგარიში, ჰიდრაულიკური დარტყმები მილსადენებში, სითხეების გამოდინება ნაცმიდან და ხვრეტილიდან).

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** NEB0410 ფიზიკა 2,

**QMB0720. მასალათმცოდნეობა (5 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ლითონების მექანიკური თვისებები. ლითონების კრისტალური აგებულება, დისლოკაციების გავლენა კრისტალების დეფორმირების პროცესზე, ლითონის ზოდის აგებულება. თავისუფალი ენერჯის მუდმივობის პრინციპი. თვითნებური კრისტალიზაცია, კრისტალების ჩანასახების რიცხვისა და მათი ზოდის სიჩქარის დამოკიდებულება გადაცივების ხარისხზე. არათვითნებური კრისტალიზაცია.

თერმული დამუშავების სახეები. წრთობა, წრთობისა და მოშვების სახეები. ალუმინი და შენადნობები მის ფუძეზე, სპილენძი და შენადნობები მის ფუძეზე, არალითონური მასალები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** NCB0540 ქიმია, NFB0410 ფიზიკა 2.

**QCB0400, QCB0410. ურთიერთშეცვლადობა და ტექნიკური გაზომვები 1, 2 (10 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ურთიერთშეცვლადობის, სტანდარტიზაციის და ტექნიკური გაზომვების არსი მანქანათმშენებლობაში. ურთიერთშეცვლადობა და მისი სახეები. ურთიერთშეცვლადობა გეომეტრიული პარამეტრებით. დაშვება. ქვალიტეტი. ცნებები ზომათა ჯაჭვების შესახებ. სოგმანური შეერთების ურთიერთშეცვლადობა და კონტროლი. ევოლუენტურ პროფილიანი შლიცური შეერთების მეტრული კუთხვილების დაშვებები და ჩასმები. კინემატიკური კუთხვილების დახასიათება და ურთიერთშეცვლადობა. საბრჯენი კუთხვილების ურთიერთშეცვლადობა. ცილინდრული კუთხვილების კონტროლი.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** QAB0020 საინჟინრო გრაფიკა.

**QCB0430. ხელსაწყოთმშენებლობის ტექნოლოგია 1, 2. (10 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ტექნოლოგიური პროცესები ხელსაწყოთმშენებლობაში. ძირითადი ცნებები და განმარტებები. ხელსაწყოების სიზუსტე. ხელსაწყოების დეტალების სიზუსტის მიღწევის საშუალებები და მათი დამუშავების მეთოდები. ბაზისების თეორია. კვანძების აკრების თავისებურებები. ზომათა ჯაჭვების თეორია.

კვანძების მიღწევის მეთოდები. დეტალების დამუშავების ტიპური ტექნოლოგიური პროცესები.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: QQB0410** ურთიერთშეცვლადობა და ტექნიკური გაზომვები 2.

**QQB0010. ანალიტიკური გაზომვები 1.** (5 კრედიტი);

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** თვისებითი და რაოდენობითი ანალიზის დახასიათებას. კათიონების და ანიონების თვისებით ანალიზს. რაოდენობითი ანალიზის საგანს და მეთოდებს. წონითი ანუ გრავიმეტრიული ანალიზს. მოცულობითი ანუ ვოლუმეტრიული ანალიზს. ბიო-ქიმიურ ანალიზს.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:**

NCB0540 ქიმია, NEB0410 ფიზიკა, NEB0500 მათემატიკა

**QQB0020. ანალიტიკური გაზომვები 2.** (5 კრედიტი);

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პოტენციომეტრია, ანალიზის იონომეტრიული მეთოდი. ლაბორატორიული pH-673-ის მუშაობის პრინციპი. იონომეტრები  $\Xi$ B-74, II-120 და II-135 ტიპის იონომეტრების განხილვა. ანალიზის ოპტიკური მეთოდები. კოლორიმეტრიული ანალიზი. ვიზუალური კოლორიმეტრი KOJI-1M და მასზე მუშაობის მეთოდიკა. ფოტოკოლორიმეტრიული ანალიზი. საკალიბრო მრუდების აგება. რეფრაქტომეტრიული ანალიზი. გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრა. რეფრაქტომეტრი PI-და მასზე მუშაობის მეთოდიკა. პოლარიმეტრიული ანალიზი. ოპტიკურად აქტიური ნივთიერებების (გლუკოზა, ლაქტოზა ან გალაქტოზა). პოლარიზაციის სიბრტყის მობრუნების კუთხის განსაზღვრის მეთოდიკა. რადიომეტრიული ანალიზი. მას-სპექტრული ანალიზი

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** ანალიტიკური გაზომვები 1,

**QCb0480. ანალიტიკური გაზომვები 3.** (5 კრედიტი);

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ანალიზის ელექტრო-ქიმიურ, ელექტრო-წონით, ქრომატოგრაფიულ, მაგნიტური ველის გამოყენებაზე დამყარებული მეთოდებს და მიკროელემენტური შემადგენლობის ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზს.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** ანალიტიკური გაზომვები 2.

**QQB0130. თეორიული მეტროლოგია 1.** (2.5 კრედიტი);

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მეტროლოგიის განვითარების ისტორია და ზოგადი ცნებები; ფიზიკურ სიდიდეთა ერთეულების აღწარმოებისა და საზომ ერთეულთა საერთაშორისო SI-სისტემის ძირითადი, დამატებითი, ჯერადი, წილადი, ასევე სპეციალური დასახელების მქონე ერთეულები; ფიზიკური სიდიდის გაზომვის პროცესის აღწერა გაზომვის განტოლებებით; გაზომვის პროცედურისა და საზომ საშუალებებთან მუშაობის პრინციპი და სპეციფიურობა; გაზომვის სახეები და მეთოდები; მეტროლოგიური სამსახურები საქართველოში და საზღვარგარეთ.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო :** NEB0420 ფიზიკის, NCB0540 ქიმიის, NEB0260 ალბათობის თეორიის და მათ. სტატისტიკის.

**QQB0140. თეორიული მეტროლოგია 2.** (5 კრედიტი)

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მეტროლოგიის ძირითადი პოსტულატი; ფიზიკური სიდიდის მრავალჯერადი გაზომვა და მიღებული შედეგების მეტროლოგიური დამუშავება, განაწილების კანონების გაცნობა და მიღებული რეზულტატის ნორმალური განაწილების კანონის შემოწმება პირსონის კრიტერიუმით; უმცირესი კვადრატების ხერხი; გაზომვის შედეგების გაფორმების თანმიმდევრობა; გაზომვათა ერთიანობა; პირდაპირი, ირიბი, ერთობლივი და თანაარსი გაზომვები; სისტემატური ცდომილებები, სისტემატური ცდომილებების აღმოჩენა, განსაზღვრა და გამორიცხვა; შემთხვევივი ცდომილებების ალბათური შეფასება; დინამიკური გაზომვები და მახასიათებლები; შემთხვევითი სიდიდეების პროცესებისა და ველების გაზომვა; საზომი ხელსაწყოების მეტროლოგიური უზრუნველყოფა, საზომ საშუალებათა ცდომილებების ნორმირება, დაგრადუირება, დაკალიბრება და რეგულირება; სიზუსტის კლასები; საზომ საშუალებათა საიმედობა.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** თეორიული მეტროლოგია 1.

**QTB0231. ლოჯისტიკის საფუძვლები. (2,5 კრედიტი).**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ლოჯისტიკის აზრი. ლოჯისტიკის განვითარების ფაქტორები ლოჯისტიკური პროცესები. ლოჯისტიკის საჭიროების არეალები. ლოჯისტიკური ჯაჭვი. მიკრო და მაკროლოჯისტიკა. საწარმოს ლოჯისტიკური სისტემების აღწერილობა და მათი შემადგენელი ნაწილები. საწარმოს ლოჯისტიკური სისტემების დანიშნულება და დონეები. ლოჯისტიკური ნაკადები. მატერიალური, საინფორმაციო, ფინანსური და საკადრო ნაკადები. შესყიდვების ლოჯისტიკა. ძირითადი ორგანიზაციის ფორმები ტრანსპორტზე, ენერგეტიკაში და მშენებლობაში. ფირმის მარტვისათვის ლოჯისტიკური მიდგომის მეთოდოლოგია. ინტეგრირებული ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაცია ლოჯისტიკური მომსახურების ცენტრები. ლოჯისტიკური პროცესი საწყობში. დასაწყობების სახეები. მოწოდებისა და განაწილების ლოჯისტიკის მნიშვნელობა საწარმოო პროცესებისათვის. კომპიუტერული ტექნოლოგიები. უახლოესი ტენდენციები. გადაზიდვების ორგანიზაციაში.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** მათემატიკური ანალიზი 1. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა. ინტერნეტი.

**QCB0490. სტანდარტიზაციის საფუძვლები. (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემას, მათ ძირითად მიზნებს, ამოცანებს, სტანდარტის დამუშავების ეტაპებს, და მათში ცვლილებების შეტანას, დამტკიცებას და რეგისტრაციას. სტანდარტიზაციის ძირითადი მეთოდებს, სტანდარტების სხეებს, სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებს, საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას, საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიას, ზომათა და წონათა საერთაშორისო ორგანიზაციას, სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტს, საერთაშორისო სტანდარტების მიღებას ეროვნულ სტანდარტებად.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** ანალიტიკური გაზომვები 3.

**TCB 0220. ეკოლოგია და სიცოცხლის უსაფრთხოება. (5 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ეკოლოგიის არსი, ეკოლოგიური ფაქტორები, აბიოტიკური, ბიოტიკური და ანთროპოგენური. პოპულაციების ეკოლოგია. თანასაზოგადოებათა ეკოლოგია ბიოცენოზი, ეკოსისტემა და ბიოცენოზი. ტროფიკული ჯაჭვები, ეკოლოგია, ადამიანი, ბიოსფერო. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის ეკოლოგიური საფუძვლები. ადამიანი და ეკოლოგიური სამართლის პროფესიული პასუხისმგებლობის საფუძვლები. ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზები. ეკოლოგიის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: მათემატიკური ანალიზი 2, ფიზიკა 2, ქიმია

**QCB0350. სასწავლო პრაქტიკა (2,5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საწარმოს დათვალიერება. სამუშაო რეჟიმისა და გამოშვებული პროდუქციის-ის/მომსახურების გაცნობა. გამოყოფილი უბნის სამუშაოთა გაცნობა და სამუშაო პროცესში ჩართვა. მასალების შეგროვება. პრაქტიკის ანგარიშის გაფორმება.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ურთიერთშეცვლადობა და ტექნიკური გაზომვები 1; ანალიტიკური გაზომვები 1;

**QCB0370. საწარმოო პრაქტიკა (2,5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საწარმოს გაცნობა; საწარმოში არსებული საზომი ტექნიკის შესწავლა. საზომ ტექნიკასთან მუშაობის უსაფრთხოების საკითხები ექსპლუატაციისა და რემონტის სფეროებში. ტექნიკური გაზომვები და მზომი მოწყობილობების ცდომილებების შესწავლა. სპეციალური დანიშნულების საზომი ხელსაწყოების ტექნიკური მომსახურება. შემთხვევითი ცდომილებები და გაზომვათა ცდომილების ალბათური შეფასება. საზომი ხელსაწყოების მეტროლოგიური უზრუნველყოფა, ჩატარებული გაზომვების შედეგების შეფასება და ცდომილებების ანგარიში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: პირველი, მეორე და მესამე კურსის საგნების შესწავლა და სასწავლო პრაქტიკის გავლა.

**QCB0500. სერთიფიკაცია. (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სერთიფიკაციის არსი და მნიშვნელობა, სერთიფიკაციის ზოგადი ცნებები, სერთიფიკაციის ჩატარების წესი და სერთიფიკაციის ჩატარების მეთოდები, სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერთიფიკაციის სისტემები, პროდუქციისა და მომსახურების სერთიფიკაციის ორგანოები, საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიების აკრედიტაცია; შესაბამისობის ეროვნული ნიშნისა და სერთიფიკაციის სახელმწიფო სისტემა, სახელმწიფო რეესტრის სტრუქტურა და წარმოების წესი; ზოგადი მოთხოვნები პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის ორგანოებისადმი, საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიებისადმი; სერთიფიკაციის საკანონმდებლო ბაზა; მწარმოებლის, მომხმარებლის სერთიფიკატები, ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო დონის სერთიფიკატები, სერთიფიკაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში და სერთიფიკაციის საერთაშორისო ორგანოები; საინსპექციო კონტროლი პროდუქციის სერთიფიცირებული მახასიათებლების სტაბილურობაზე; სერთიფიკატის და სერთიფიკაციაზე შეთანხმების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა; სერთიფიკაცია, როგორც ფორმა პროდუქციის ხარისხის გარანტიისა და სერთიფიკაციის განვითარების პერსპექტივა, სერთიფიკაციის ორგანოების პერსონალის კვალიფიკაციის მნიშვნელობა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: გამოყენებითი მეტროლოგია, სტანდარტიზაციის საფუძვლები.

**QCB0510. კვალიმეტრია (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კვალიმეტრიის მიზნებს, ამოცანებს, ზოგადი ცნებებს და ტერმინებს, ხარისხის რაოდენობრივ მაჩვენებლების განსაზღვრას, ხარისხის გაზომვას, გაზომვის სკალებს, ექსპერტულ მეთოდებს, ექსპერტთა რაოდენობის როლს, მიმდევრობითი მიახლოების მეთოდებს.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: QCB0130 თეორიული მეტროლოგია 1.

**QCB0520. ხარისხის მენეჯმენტი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პროდუქციის ხარისხი, როგორც მართვის ობიექტი; ხარისხის არსი; ხარისხის ამაღლების მნიშვნელობა; ხარისხის და კონკურენტუნარიანობის კავშირი; ხარისხის შეფასება, გაზომვა და მართვის მეთოდები; ხარისხის მართვის პრინციპები და განსაზღვრებები; ხარისხის მენეჯმენტის ეკონომიკური არსი, ასპექტები და მეთოდები. ხარისხის მართვის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური მეთოდები; ხარისხის მენეჯმენტის სტატისტიკური მეთოდები. ხარისხის მენეჯმენტის განვითარების ეტაპები; ხარისხის დონის შეფასების საექსპერტო მეთოდი; დეფექტურობის მაჩვენებლისა და ინდექსის გასაზღვრა; ხარისხის ტექნიკური კონტროლის მეთოდები და მათი კლასიფიკაცია; პოლიტიკა ხარისხის სფეროში; ხარისხის დაგეგმვა და სამუშაოების ორგანიზაცია. ხარისხის მართვის ეკონომიკური, საორგანიზაციო-განკარგულებითი და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა:** მიკრო და მაკრო ეკონომიკა; ბიზნესკანონმდებლობის საფუძვლები; სტანდარტიზაციის საფუძვლები; თეორიული მეტროლოგია 2.

#### **QCB0530. სტატისტიკური კონტროლი ხარისხის მართვა(5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პროდუქციის ხარისხის სტატისტიკური კონტროლისა და რეგულირების სისტემები; მატემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენება მასიური პროდუქციის ხარისხის სტატისტიკური კონტროლისა და რეგულირებისათვის. სტატისტიკური კონტროლის ძირითადი სახეების კლასიფიკაცია და დახასიათება. ხარისხის სტატისტიკური კონტროლის მეთოდები და მათი შეფარდებითი შეფასება. მისაღები და გამაფრთხილებელი სტატისტიკური კონტროლი, მისაღები სტატისტიკური კონტროლისათვის გამოყენებული მეთოდები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა:** შემდეგი კურსების/კურსების ჯგუფის ათვისება: ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, ხარისხის მენეჯმენტი

#### **QCB0540. პროდუქციის ექსპერტიზა 1. (7,5 კრედიტი);**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ექსპერტიზის სახეებს. სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზას, კვების პროდუქტების ხარისხს და მისი კონტროლის უზრუნველყოფას, ხორცის სანიტარული შეფასებას. ძეხვის ექსპერტიზას. თევზის სანიტარული შეფასებას. თევზის ექსპერტიზას. რძისა და რძის პროდუქტების ექსპერტიზას. კვერცხი და კვერცხის პროდუქტების ექსპერტიზას. ღვინის ექსპერტიზას. მარცვლეულს და მისი გადამუშავების პროდუქტებს. სასურსათო საქონლის უსაფრთხოებას და უვნებლობას. გემოვნებითი საქონლის ჯგუფებს, ზოგადი ცნებებს და თავისებურებებს. გემოვნებითი საქონლის კლასიფიკაციას. კვებით ღირებულებას და მისი თვისებების მაჩვენებელს.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** QCB0130 თეორიული მეტროლოგია 1. ანალიტიკური გაზომვები 3.

#### **QCB0550. პროდუქციის ექსპერტიზა 2. (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** გემოვნებით პროდუქტებს (სანელებლებს, საკაზმებს, ჩაის, ყავას, უალკოჰოლო გაზირებულს სასმელებს, წვენებს, ნექტარებს და წვენშემცველ სასმელებს, მათ მიღების ტექნოლოგიას, იდენტიფიკაციას, დეფექტებს და ექსპერტიზას.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** ექსპერტიზა 1.

#### **QCB0560. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და საპატენტო საქმე (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სამრეწველო საკუთრების ობიექტის არსი, გამოგონების სახეები, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ძირითადი დებულებები, გამოგონების ობიექტები და მათი დამახასიათებელი ნიშნები, პატენტუნარიანობის კრიტერიუმები და საპატენტო სიწმინდე, პატენტის გაცემის პროცედურა საფეხურების მიხედვით; საპატენტო უფლება-მოვალეობები, საპატენტო ლიცენზიები, და საპატენტო დავების განხილვა, ჩვენი ქვეყნის საპატენტო სამსახურები და საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო თანამშრომლობაში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციები.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** ბიზნეს კანონმდებლობის საფუძვლები.

**QCB0260. ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტაციის მეტროლოგიური ექსპერტიზა. (5 კრედიტი);**  
**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ნორმაკონტროლის ჩატარების მიზნები და ამოცანები, ორგანიზაცია, დოკუმენტის კონტროლზე წარდგენა; აქტიური და პასიური ნორმაკონტროლი; ტექნიკური დავალების შემოწმება; კონსტრუქციული დოკუმენტების შემოწმება; ნორმაკონტროლის ძირითადი მიმართულებები. ტექნიკური დოკუმენტაციის მეტროლოგიური ექსპერტიზა; კონსტრუქტორული დოკუმენტაციის ტექნოლოგიური კონტროლი; ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შემოწმება კომპიუტერით.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** QCB0430 ხელსაწყოთმშენებლობის ტექნოლოგია 2, კომპიუტერული გრაფიკა და ტექნიკური გაზომვები 2

**QCB0570. გამოყენებითი მეტროლოგია. (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** გაზომვის მდგომარეობის ანალიზის მიზნები და ობიექტები; ნაკეთობის სასიცოცხლო ციკლის ძირითადი ეტაპები; მეტროლოგიური ექსპერტიზის მიზნები და ამოცანები; გაზომვის შესრულების მეთოდიკა; ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის სტრუქტურა და მეტროლოგიური ექსპერტიზა; გაზომვის შესრულების მეთოდიკების სტანდარტიზაცია და ატესტაცია; გაზომვის საშუალებების სახელმწიფო გამოცდის მიზნები და ამოცანები, მიმღები და საკონტროლო გამოცდები; გაზომვის საშუალებების მეტროლოგიური ატესტაცია, ზედამხედველობა და მეტროლოგიური კონტროლი; გაზომვის საშუალებების დამოწმება, ეტალონები და სამოწმებელი სქემები; აგრეთვე, მეტროლოგ-ექსპერტის პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობანი.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** QCB0140 თეორიული მეტროლოგია 2, სტანდარტიზაციის საფუძვლები.

**QCB0270. პრაქტიკა მენეჯერული პროგრამით (2,5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საწარმოს გაცნობა. ხარისხის მართვის სისტემის დამუშავება. „ხარისხის სახელმძღვანელოს“ შექმნა. ტექნოლოგიური პროცესების მეტროლოგიური უზრუნველყოფის მეთოდები და საშუალებები. ხარისხის საყოველთაო მართვის ახალი მოდელის შექმნა. სახელმწიფო სტანდარტების გაცნობა პროდუქციის ხარისხის მართვის სფეროში, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების მართვაში გადაწყვეტილებების მიღების ორგანიზაციურ - ტექნოლოგიური ასპექტები. გადაწყვეტილებების შერჩევა. დაკვირვებათა შედეგების წინასწარი მომზადება დამუშავება. ექსპერიმენტული მეთოდების პრაქტიკული გამოყენება პროდუქციის ხარისხის შეფასებაში.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** საწარმოო პრაქტიკა.

## **SEB1220. ბუღალტრული აღრიცხვა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სამეურნეო აღრიცხვა, მისი არსი და მნიშვნელობა, სამეურნეო აღრიცხვის სახეები, არსი მიზანი და ამოცანები. ბუღალტრის ფუნქციები. ბუღალტრული აღრიცხვის საგანი, მისი ობიექტები, სამეურნეო პროცესები, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, მისი ელემენტები ბუღალტრული დოკუმენტები, დოკუმენტების კლასიფიკაცია. ინვერტარიზაცია და მისი როლი ბუღალტრულ აღრიცხვაში, ბალანსირების პრინციპები. ბუღალტრული ბალანსი. ბუღალტრული ანგარიშები. მათი დანიშნულება სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები:** წრფივი ალგებრა და გეომეტრია.